პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2025 წლის_ _ თებერვალი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთითვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — არჩილ ღიბრაძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

1. შესავალი

შიდა აუდიტის არსია, დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებასა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური, მარწმუნებელი და საკონსულტაციო საქმიანობა, რომელიც სისტემატიზებული, დისციპლინებული და ორგანიზებული მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისკენ. შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება დაწესებულების ხელმძღვანელს მართვის პროცესის მიზნების მიღწევაში და საჯარო დაწესებულებაში შესაბამისი ეთიკის და ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკის გამოვლენას და რისკების შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის მიზნებია:

- სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, რომელთაც შეუძლიათ საფრთხის ქვეშ დააყენონ დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით დაწესებულების წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად;
- ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების და დასკვნების შესახებ და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების და წყალტუბოს მუნიციპლიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების საფუძველზე, ასევე, თავის საქმიანობაში იყენებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ შიდა აუდიტის მეთოდოლოგიას, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსს, შიდა აუდიტის სტანდარტებს.

სტანდარტები მოითხოვს აუდიტორების მიერ ეთიკის კოდექსის დაცვას, აუდიტის დაგეგმვას და წარმართვას იმგვარად, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგად დადგინდეს შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედ კანონმდებლობას.

შიდა აუდიტის სამსახური, სამსახურეობრივ უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობას ახორციელებს მერის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმების შესაბამისად.

2. მოკლე მიმოხილვა

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს განხორციელდა სამი შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის აუდიტი). შიდა აუდიტორული შემოწმება (შესაბამისობის აუდიტი) ჩაუტარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ 2 (ორი) იურიდიულ პირს, ასევე შესაბამისობის აუდიტი განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის 1 (ერთ) სტრუქტურულ ერთეულში.

აღნიშნულ პერიოდში შიდა აუდიტიორული შემოწმება (შესაბამისობის აუდიტი) განხორციელდა:

- ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გარეთიანება“-ში
- ა(ა)იპ „წყალტუბო მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ში
- **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურში.**

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განოხორციელდა:

- ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გარეთიანება“-ში

3. განხორციელებული ღონისძიებები

➢ აუდიტის ობიექტი N1

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“

მიგნებები და რეკომენდაციები

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების შემადგენლობა

მიგნება:

შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების შემადგენლობის განსაზღვრისას დაცული არ არის კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნიშნული მოთხოვნები, კერძოდ, რიგ შემთხვევებში აღსაზრდელები ჩარიცხულნი არიან მათი ასაკის შეუსაბამო ასაკობრივ ჯგუფებში, მაგალითად: N24 საბავშვო ბაღის 3-დან 4 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ამავე საბავშვო ბაღის 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ასაკობრივ ჯგუფში, აგრეთვე N1 საბავშვო ბაგა-ბაღის 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე ასაკობრივ ჯგუფში, ამავე საბავშვო ბაგა-ბაღის 2-დან 3 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, სოფელ ფარცხანაყანევის N7 საბავშვო ბაგა-ბაღის 3-დან 4 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, N2 საბავშვო ბაგა-ბაღის 4-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

რეკომენდაცია N1

პრაქტიკაში უნდა დაინერგოს კონტროლის ქმედითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დამოუკიდებელი ჯგუფების შექმნასა და მათ დაკომპლექტებას შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისგან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

შრომითი ურთიერთობები

მიგნება

შესწავლით დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში აღმზრდელ-პედაგოგებად მომუშავე პირები ვერ აკმაყოფილებენ ,,აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ მინიმალური კვალიფიკაციის მოთხოვნებს, მაგალითად, სოფელ რიონის და სოფელ ოფშკვითშის საბავშვო ბაღებში აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული პირები არ ფლობენ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს და არც ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ პროფესიულ დიპლომს, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ოფურჩხეთსა და ქ. წყალტუბოს N24 საბავშვო ბაღებში აღმზრდელ-პედაგოგების პოზიციაზე დასაქმებულ პირებს არ აქვთ აღმზრდელის ან აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე მუშაობის, სულ მცირე, 4-წლიანი გამოცდილება.

რეკომენდაცია №2

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კვალიფიკაციის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რომ სანიტარული ნორმების დაცვის კოორდინატორის, სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების სამსახურის მენეჯერის, სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამების სამსახურის მენეჯერის თანაშემწის, ფიზიკური აღზრდის მეთოდისტის, ფსიქოლოგის პოზიციებზე

დასაქმებული პირების მიერ კრიტერიუმში აღნიშნული ფუნქციების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მიკვლევადი არ არის, კერძოდ, არ არის მოხსენებითი ბარათები/ ანგარიშები/შემოწმების აქტები და ა.შ.

რეკომენდაცია №3

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლები უზრუნველყოფენ მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების დოკუმენტურ დადასტურებას.

მიგნება

საშტატო ნუსხის, თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით ირკვევა, რომ ა(ა)იპ-ში არსებობს ,,აღმზრდელის" საშტატო ერთეულები, რომლის ფუნქციები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ,,აღმზრდელ-პედაგოგის" ფუნქციებს შეესაბამება, ხოლო კანონმდებლობით დადგენილი ,,აღზმრდელის" ფუნქციები ასახულია ,,აღმზრდელის თანაშემწის" ფუნქციებში, შესაბამისად, საშტატო ერთეულების სახელდებისას და ფუნქციების განსაზღვრისას დაცული არ არის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

რეკომენდაცია №4

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საშტატო ერთეულების სახელდებას და შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა რეგისტრაციის და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი

მიგნებები:

1. შესწავლით დგინდება, რომ აღსაზრდელთა სიებიდან ამორიცხვის პირობები არ არის დეტალიზებული, სათანადოდ განსაზღვრული და დაკონკრეტებული არ არის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, არ არის განსაზღვრული საპატიო გაცდენის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის წესი და ვადები და ა.შ.
2. განსაზღვრული არ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა/რეკომენდაციის წარმოდგენა ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან/და შემდგომი ასაკობრივი განვითარებისათვის 6 წელზე ზევით სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების მომსახურებით სარგებლობის საჭიროების შესახებ.
3. არ არის ხელმისაწვდომი აღსაზრდელთა ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.
4. არ არის განსაზღვრული უპირატესი რეგისტრაციით მოსარგებლე კატეგორიის ბავშვები.
5. შემუშავებული არ არის ვაკანტური ადგილების შევსების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, რეზერვის შექმნის და მასში რეგისტრაციის პირობები და პროცედურა, რეზერვის ფორმა.
6. განსაზღვრული არ არის ჯგუფების დაკომპლექტების პროცედურა.

რეკომენდაცია N5

ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით შეიმუშავონ საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთა მიღებისა და გარიცხვის წესი შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ✓ სათანადო დასაბუთებით შემუშავდეს და დეტალურად გაიწეროს აღსაზრდელთა მიღების პირობები, აღსაზრდელთა ჩარიცხვის ფორმა და პროცედურა.
- ✓ შემუშავდეს და დამტკიცდეს ჯგუფების დაკომპლექტების პროცედურა.
- ✓ სათანადო დასაბუთებით ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ გაიწეროს აღსაზრდელთა გარიცხვის პირობები.
- ✓ განისაზღვროს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, საპატიო გაცდენის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის წესი და ვადები და ა.შ.
- ✓ შემუშავდეს და დამტკიცდეს პროცედურები, რომელიც მოაწესრიგებს ჩარიცხვის მსურველ აღსაზრდელთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ აღსაზრდელთა ჩარიცხვის მიზნით შეტანილი განცხადებების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის პროცესს. რეკომენდირებულია განცხადებების აღრიცხვა იწყებოდეს წინასწარ განსაზღვრული სარეგისტრაციო ნომრით და ასახული იყოს სპეციალურ ფორმებში, რომლებიც მოიცავს ისეთ აუცილებელ მონაცემებს, როგორიცაა, განცხადების მიღების თარიღი, განცხადების ნომერი, პოტენციური აღსაზრდელის სახელი და გვარი, ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ა.შ.
- ✓ რეკომენდირებულია, საჭიროების შემთხვევაში, დაინერგოს რეზერვში მყოფი ჩარიცხვის მსურველი აღსაზრდელების რეესტრის წარმოების პრაქტიკა.
- ✓ განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლითაც დადგინდება ადგილების გამონთავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელთა სარეზერვო სიებიდან ჯგუფებში ჩარიცხვის საკითხის განხილვის რიგითობა.
- ✓ შესწავლილ იქნას აღსაზრდელთა ელექტრონული ფორმით რეგისტრაციის დანერგვის საკითხი და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება განხორციელდეს სათანადო დასაბუთებით, დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებების/სურვილების სათანადო შესწავლის, შეფასებისა და გაანალიზების საფუძველზე.
- ✓ აღსაზრდელთა მიღებისა და გარიცხვის წესში გათვალისწინებული უნდა იყოს ანგარიშგების, შემუშავებული წესის პერიოდული განახლების, პროცესებისა და აქტივობების დოკუმენტირების მექანიზმები.

საწვავის ხარჯვისა და ჩამოწერის აუდიტი

მიგნებები:

1. შესწავლით ირკვევა, რომ ა(ა)იპ-ში არ ხორციელდებოდა შეძენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოება.

2. შესწავლით ირკვევა, რომ 2023 წლის ნოემბერს ავტომანქანაში, სახელმწიფო ნომრით SC656CC ჩასხმულია 482.67 ლიტრი საწვავი, მაშინ როცა აღნიშნულ ავტომანქანაზე საწვავის თვიური ლიმიტი

შეადგენდა 400 ლიტრს,[1] შესაბამისად, ადგილი ჰქონდა საწვავის ხარჯვას დადგენილ თვიურ ლიმიტზე გადაჭარბებით. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ყოველთვიური ლიმიტის გადამეტების შემთხვევაში დაბალანსება უნდა მოხდეს მომდევნო თვეების ლიმიტებიდან.[2] ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში დაბალანსება მომდევნო თვეების ლიმიტიდან არ განხორციელებულა. უნდა აღინიშნოს ისიც რომ საწვავის ლიმიტის დადგენასთან დაკავშირებით გამოცემულ ბრძანებაში ავტომანქანის SC656CC სახელმწიფო ნომერი არასწორადაა შეყვანილი, კერძოდ, ბრძანებაში მოხსენიებულია FPF590, რომელიც აღნიშნული ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი იყო 2021 წლამდე.

3. ,,გაერთიანებას" დადგენილი არ აქვს თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანები.

რეკომენდაცია №6

ა(ა)იპ-მა საწვავის გამოყენებასთან დაკავშირებით გააძლიეროს არსებული შიდა კონტროლის სისტემა, რათა უზრუნველყოს საწვავის ხარჯვა დადგენილი ლიმიტის შესაბამისად და აგრეთვე, ერთობლივი შემოსავლიდან საწვავის ხარჯის გამოსაქვითად საწვავის შესაბამის ძირითად საშუალებაზე გაცემისა და შეძენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების სათანადო დოკუმენტური დადასტურება. გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მიეთითოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი. დადგინდეს თუ რა რაოდენობის საწვავს მოიხმარს ყოველ 100 კმ-ზე ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანები.

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია

მიგნება

შესწავლით გამოვლინდა, რომ 2023 წელს განხორციელდა ქ. წყალტუბოს N3 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაცია (NAT230010179), თუმცა არ განხორციელებულა მისი აღჭურვა სახანძრო უსაფრთხოების დაცვის სისტემით. ვინაიდან სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი არსებითად არ ზრდის შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის ღირებულებას, მნიშვნელოვანი იყო რეაბილიტაციის დროს გაეთვალისწინებინათ მისი სათანადო დონეზე მოწესრიგება.

რეკომენდაცია N7

რეკომენდირებულია მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურმა/ ა(ა)იპ-მა ახალი ბაღების მშენებლობისა და არსებული ბაღების შენობების კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას გაითვალისწინოს შენობების კანონმდებლობით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოების სისტემით აღჭურვის საკითხი.

---

[1] ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ", გაერთიანების მმართველის 2023 წლის 23 დეკემბრის N1269; პირველი მუხლი.

[2] ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების" ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე საწვავის ლიმიტის განსაზღვრის შესახებ", გაერთიანების მმართველის 2023 წლის 23 დეკემბრის N1269; მე-2 მუხლი.

ფინანსური მართვა და კონტროლი

მიგნებები:

1. ა(ა)იპ-ის კონტროლის გარემოს შესწავლით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:
   - არ ხდება არსებული რისკების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც უნდა დაინერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;
   - არ არის შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმები.

რეკომენდაცია №8

ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ა(ა)იპ-ის საქმიანობით დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებებისა და მოლოდინების შესწავლა და გაანალიზება, ა(ა)იპ-ს წინაშე მდგარი გამოწვევების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ა(ა)იპ-ის SWOT ანალიზი, ა(ა)იპ-ს ინსტიტუციური შეფასება.

მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა, რომელიც თავსებადი იქნება შესაბამის სფეროში სახელმწიფო პრიორიტეტებთან, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდების სახელმწიფო სტანდარტთან და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან.

სტრატეგიული გეგმით უნდა განისაზღვროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ა.შ. დეტალურად გაიწეროს თუ რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას საბავშვო ბაღების მიერ სახელმწიფო სტანდარტების დაკმაყოფილების/ავტორიზაციის პროცესში. ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურებთან, დონორებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის შესახებ და ა.შ.

სტრატეგიულ გეგმასთან ერთად უნდა მომზადდეს დეტალური წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულად და კონკრეტულად იქნება ასახული ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მიღწევა. სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დაგეგმილი ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობა, მათი მოპოვების გზები, გეგმის შესრულების ინდიკატორები და ა.შ. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე კი შემუშავდეს კონკრეტული სამუშაო პროგრამა. სტრატეგიული და წლიური გეგმები უნდა შემუშავდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

ა(ა)იპ-ის მიზნების მისაღწევად საქმიანობის დაგეგმვა განხორციელდეს დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმებით იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით გამოწვეული საქმიანობის შემზღუდველი სავარაუდო რისკები. გაუთვალისწინებელი მოვლენების დადგომის შემთხვევაში, ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელდეს წლიური გეგმის კორექტირება მიმდინარე გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანას. მიმდინარე პროცესებში არსებული რისკების შემცირების მიზნით, შემუშავდეს ისეთი კონტროლის პოლიტიკა, პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს ეფექტიან კონტროლს და ხელს შეუწყობს საჯარო რესურსების კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, არამიზანშეწონილად ხარჯვისა და არაეფექტიანად მართვის დროულ გამოვლენასა და პრევენციას.

რეკომენდაცია №9

ა(ა)იპ-ის მენეჯმენტმა ყველა თანამშრომელს გააცნოს სტრატეგიული და დეტალური წლიური სამოქმედო გეგმები, გაუზიაროს საქმიანობის საბოლოო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. ამასთანავე ა(ა)იპ-ის მიზნები შემუშავებული უნდა იყოს კარგად გააზრებული და პრაქტიკულად გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე.

რეკომენდაცია №10

უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის დამოუკიდებელი და ქმედითი მექანიზმები. განისაზღვროს ვის მიერ და რა პერიოდულობით განხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შედეგების შესახებ ანგარიშგება. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დროულად განხორციელდეს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და მათში განხორციელებული ცვლილებების შესახებ თანამშრომლებთან კომუნიკაცია.

- **აუდიტის ობიექტი N2**

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“

მიგნებები და რეკომენდაციები

სახელმწიფო შესყიდვების მართვის პროცესთან დაკავშირებული მიგნებები

მიგნებები:

- ✓ შესწავლით დგინდება, რომ CMR230079149 (CPV42900000); CMR230062482 (CPV42900000); CMR230073523 (CPV19600000); CMR230033928 (CPV24900000); CMR230079149 (CPV24900000); CMR230045873 (CPV24900000); CMR230039350 (CPV24900000); CMR230033928 (CPV30100000); CMR230023309; CMR230023289; (CPV15500000); CMR230151901; CMR230167255 (CPV34300000); CMR230073523 (CPV39500000); CMR230045873 (CPV42100000); CMR230138844 (CPV44100000 და (CPV44800000); CMR230045873(CPV44800000); CMR230079149(CPV50100000); CMR230167255(CPV50100000); CMR230027293 (CPV50300000); გამარტივებული შესყიდვები განახორციელდა სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში წინასწარი რეგისტრაციის გარეშე.
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების 2023 წლის გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. შესწავლით დგინდება, რომ სახელმწიფო შესყიდვების გეგმების ელექტრონულ მოდულში (ePlan) განხორციელებულია აღნიშნული გეგმის სხვადასხვა პარამეტრის ცვლილება, მაგალითად, 2023 წლის 27 თებერვალს დაემატა CPV50700000 და CPV80500000 კლასიფიკატორის კოდები, 2023 წლის 12 ოქტომბერს დაემატა CPV45300000 და CPV39500000 კლასიფიკატორის კოდები, 2023 წლის 26 ოქტომბერს დაემატა CPV24900000, CPV68100000, CPV14200000 და CPV42100000 კლასიფიკატორის კოდები, 2023 წლის 25 მაისს დაემატა CPV39200000 კლასიფიკატორის კოდი. 2024 წლის 09 თებერვალს დაემატა CPV42900000, CPV19600000, CPV24300000 და CPV44800000 კლასიფიკატორის კოდები. CPV03100000,

CPV03200000, CPV15200000; CPV15300000; CPV15400000; CPV15500000; CPV15800000; კლასიფიკატორის კოდების სავარაუდო ღირებულების ცვლილება განხორციელდა 2023 წლის 12 ოქტომბერს, ამავე წლის 26 ოქტომბერს და 2024 წლის 09 თებერვალს CPV34300000; CPV15100000; CPV50100000; კლასიფიკატორის კოდის სავარაუდო ღირებულების ცვლილება განორციელდა 2023 წლის 12 ოქტომბერს და 2024 წლის 09 თებერვალს , CPV34300000 კლასიფიკატორის კოდის სავარაუდო ღირებულების ცვლილება განხორციელდა 2023 წლის 27 თებერვალს და 12 ოქტომბერს, CPV39800000; CPV42100000; CPV33700000; CPV39500000; CPV09100000; CPV09200000; CPV14200000; CPV22800000; CPV24900000; CPV30100000; CPV50400000; CPV71600000; CPV71900000 კლასიფიკატორის კოდების სავარაუდო ღირებულების ცვლილება განხორციელდა 2024 წლის 09 თებერვალს, თუმცა აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით შესაბამისი ბრძანება არ გამოცემულა / არსებულ ბრძანებაში ცვლილება არ შესულა, შესაბამისად, დაუდგენელია რის საფუძველზე განხორციელდა ePlan მოდულში გეგმის სხვადასხვა პარამეტრის ცვლილება.

- ✓ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს განხორციელებული აქტივობები და სამუშაოები დადოკუმენტირებული და აღნიშნულიდან გამომდინარე მიკვლევადი არ არის.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტიდან გამომდინარე შესამოწმებელ პერიოდში ვერ ხორციელდებოდა ორგანიზაციის საჭიროებების/მოთხოვნების და მათი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების სათანადო შეფასება და სახელმწიფო შეყიდვების დაგეგმვის პროცესის საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად განხორციელება.

რეკომენდაცია №1

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცედურების წარმართვას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;
- ფაქტობრივი შესყიდვების გეგმასთან შეუსაბამობის რისკების შესამცირებლად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას მხოლოდ წინასწარ დამტკიცებული და სათანადო წესით რეგისტრირებული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.
- კონტროლის მექანიზმების და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში განხორციელებული აქტივობების სათანადო დოკუმენტირებას და დაარქივებას.

მიგნება

- შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ CMR230062482; CMR230045873; CMR230039370; CMR230039350; CMR230033928; CMR230038182; CMR230027293; CMR230023309; CMR230023289 გამარტივებული შესყიდვები განხორციელდა ბაზრის კვლევის გარეშე.

- ბაზრის კვლევის ეტაპზე მიმდინარეობს მხოლოდ შესყიდვის საგნის ფასის გამოკითხვა და არ ხდება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება, როგორიცაა: მიწოდების გამოცდილება, ვადები და ა.შ. შედეგად, პოტენციური მიმწოდებლების მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ იძლევა დეტალური ანალიზის საშუალებას.

ზემოთაღნიშული გარემოებები მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის პროცესში დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტიდან გამომდინარე შესამოწმებელ პერიოდში ვერ ხორციელდებოდა განსახორციელებელი შესყიდვების მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვა.

სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის გარეშე განხორციელება წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად, არაეკონომიურად განკარგვის რისკებს.

რეკომენდაცია №2

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს:

- ცალკეული შესყიდვისათვის ინდივიდუალურად მოსამზადებელი სამუშაოების ჯეროვნად წარმართვას და კვალიფიციური შესყიდვის განხორციელებას.
- საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად.
- კონტროლის მექანიზმების გაძლიერებისა და ინსტიტუციური მეხსიერების გაძლიერების მიზნით ბაზრის კვლევის შედეგების დოკუმენტირებას და მათ სისტემატიზებულ არქივაციას.

მიგნება

შესწავლით დგინდება, რომ შესამოწმებელ პერიოდში განხორციელებული შესყიდვების მიმწოდებლების შერჩევაში მონაწილე ფიზიკურ პირს/ პირებს წერილობითი ფორმით დადასტურებული არ აქვთ, რომ შესაბამის შესყიდვებში მათი მონაწილეობა არ იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს და, შესაბამისად, აღნიშნული ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ სისტემაში ატვირთულია არაა, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

რეკომენდაცია №3

ა(ა)იპ-მა შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე ფიზიკური პირი/პირები წერილობითი ფორმით დაადასტურებენ, რომ შესაბამის შესყიდვებში მათი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აიტვირთება.

მიგნება

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ-ის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებში ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

1. ,,შემსყიდველს თანხა შეუძლია გადაიხადოს საქონლის მიღებიდან მომდევნო თვის ბოლო რიცხვამდე“ .
2. ,,შემსყიდველს თანხა შეუძლია გადაიხადოს მომსახურეობის მიღებიდან 25 დღის განმავლობაში.“

ა(ა)იპ-ში დანერგილი კონტროლის მექანიზმების სისუსტიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებით განსაზღვრული მიმწოდებელთან ანგარიშსწორების ვადები სათანადოდ არგუმენტირებული არ არის. მიმწოდებელთან ფულადი ანგარიშსწორების ვადების არაგონივრულად განსაზღვრის პირობებში არსებობს მიმწოდებლების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მოტივაციის შემცირების რისკი, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესზე.

რეკომენდაცია №4

ა(ა)იპ-მა უზრუნველყოს ანგარიშსწორების პირობების განსაზღვრის არსებული პრაქტიკის გადახედვა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შეფასების საფუძველზე შეიმუშავოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორების გონივრული და სათანადოდ არგუმენტირებული ვადები.

მიგნება

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ-ის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებში ანგარიშსწორების პირობები განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

,,ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ან ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.” შესაბამისად, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების და ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, გარდა ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისა, პირგასამტეხლო განსაზღვრული არ იყო.

რეკომენდაცია №5

ა(ა)იპ-მა უზრუნველყოს პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრის არსებული პრაქტიკის გადახედვა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციის შეფასების საფუძველზე შეიმუშავოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორების გონივრული და სათანადოდ არგუმენტირებული ვადები. პირგასამტეხლო უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და საპირწონე. კერძოდ, პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს პირგასამტეხლოსა და ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული შედეგების თანაფარდობა, მათ შორის, ვალდებულების დარღვევის სიმძიმე, მასშტაბი, პერიოდულობა, ვალდებულების დარღვევის შედეგად მოსალოდნელი ზიანი ან/და სხვა ობიექტური გარემოებები.

მიგნება

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ CMR230167255; CMR230129985; CMR230039350 გამარტივებული შესყიდვების შესყიდვის ობიექტია სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები სათადარიგო ნაწილების გათვალისწინებით, შესაბამის ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია შესყიდვის ობიექტის ხარისხთან და გარანტიასთან დაკავშირებული პირობები, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ,,მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს.“ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ჩანაწერი ზოგადია და არ არის სათანადოდ არგუმენტირებული. გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ავტომანქანის ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ტექმომსახურებაზე, ახალ (არამეორად), შეკეთებულ და მეორად ნაწილებზე ვრცელდება გარანტია კონკრეტული საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

რეკომენდაცია №6

საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, ა(ა)იპ-მა უზრუნველყოს საგარანტიო პირობების განსაზღვრის არსებული პრაქტიკის გადახედვა და სათანადო არგუმენტაციის საფუძველზე განსაზღვროს მიმწოდებლის მიერ გაწეულ ტექმომსახურებაზე, ახალ (არამეორად), შეკეთებულ და მეორად ნაწილებზე საგარანტიო ვადა და პირობები ავტომანქანის ტექნიკური რეგლამენტის და სათადარიგო ნაწილების სპეციფიკაციის გათვალისწინებით.

შრომის ანაზღაურებასა და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული მიგნებები

მიგნებები:

1. ა(ა)იპ-ის დირექტორის 2023 წლის 26 ივნისის N19 ბრძანების მიხედვით, ადრეული განვითარების სპეციალისტი 2023 წლის 27 ივნისიდან 2023 წლის 28 ივლისის ჩათვლით იმყოფებოდა შვებულებაში, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში 2023 წლის ივნისის თვეში აღნიშნული პირის შვებულებაში ყოფნა არაა დაფიქსირებული, ასევე ა(ა)იპ-ის დირექტორის 2023 წლის 23 აგვისტოს N32 ბრძანების მიხედვით, საქმის მწარმოებელი იმყოფებოდა შვებულებაში 2023 წლის 25 აგვისტოდან 28 სექტემბრის ჩათვლით იმყოფებოდა შვებულებაში, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში 2022 წლის აგვისტოს თვეში აღნიშნული პირის შვებულებაში ყოფნა არაა დაფიქსირებული, ა(ა)იპ-ის დირექტორის 2023 წლის 31 ოქტომბრის N40 ბრძანების მიხედვით, პროფესიული განვითარების სპეციალისტს საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე 2023 წლის 28 ოქტომბრიდან შეუჩერდა შრომითი ურთიერთობა სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმაში 2023 წლის ოქტომბრის თვეში აღნიშნული პირის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნა არაა დაფიქსირებული.
2. ა(ა)იპ-ის დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბრის N33 ბრძანების მიხედვით, პროფესიული განვითარების სპეციალისტს მიეცა კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება 2023 წლის 14 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით, სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალში შვებულება მითითებულია 11 სექტემბრიდან და შესაბამისად, 2023 წლის 11, 12 და 13

სექტემბერს არ ფიქსირდება აღნიშნული თანამშრომლის სამსახურში გამოცხადების დამადასტურებელი ხელმოწერები.

რეკომენდაცია №7

ა(ა)იპ-მა გააძლიეროს არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები თანამშრომელთა ნამუშევარი დროის სათანადოდ და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად აღრიცხვის უზრუნველსაყოფად.

მიგნება

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში განსაზღვრული არ არის ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულების მიცემის წესი. უნდა აღინიშნოს, რომ ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა არც შრომის შინაგანაწესშია განსაზღვრული.

რეკომენდაცია №8

ა(ა)იპ-მა გააძლიეროს არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, შრომით ხელშეკრულებებში აისახოს ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და ამ შვებულების მიცემის წესი.

მიგნება

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ა(ა)იპ-ის დირექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს N30 ბრძანებით პროფესიული განვითარების სპეციალისტის პოზიციაზე დაინიშნა პირი 2023 წლის 17 აგვისტოდან 17 ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნულ პირს ა(ა)იპ-ის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის N51 ბრძანებით 2023 წლის 16 აგვისტოს დადებული შრომითი ხელშეკრულება გაუგრძელდა უვადოდ 2024 წლის 01 იანვრიდან. აგრეთვე ა(ა)იპ-ს დირექტორის 2023 წლის 16 აგვისტოს N31 ბრძანებით მზარეულის პოზიციაზე დაინიშნა პირი გამოსაცდელი ვადით 2023 წლის 17 აგვისტოდან 17 ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნულ პირს ა(ა)იპ-ის დირექტორის 2023 წლის 27 დეკემბრის N49 ბრძანებით 2023 წლის 16 აგვისტოს დადებული შრომითი ხელშეკრულება გაუგრძელდა უვადოდ 2024 წლის 01 იანვრიდან. შესაბამისად, ზემოთაღნიშნულ შემთხვევებში შესაბამისი პირები შრომითი ხელშეკრულებების ვადის გასვლიდან 1 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (2023 წლის 17 ნოემბრის შემდგომ პერიოდში ამავე წლის 27 დეკემბრამდე) ა(ა)იპ-ში მუშაობდნენ და შესაბამის ანაზღაურებას იღებდნენ, თუმცა სამართლებრივად შრომითი ურთიერთობა არ იყო დარეგულირებული, კერძოდ, არ იყო გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები/ გამოცემული არ იყო დანიშვნის/ შრომითი ურთიერთობის გაგრძელების შესახებ შესაბამისი ბრძანებები. აღნიშნულ პერიოდში ზემოთაღნიშნული პირების ა(ა)იპ-ში მუშაობის ფაქტს ადასტურებს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის (ა(ა)იპ-ის) დირექტორის) ზეპირი განმარტება და ასევე სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალში შესაბამის პერიოდში დაფიქსირებული მათი ხელმოწერები.

რეკომენდაცია №9

ა(ა)იპ-მა გააძლიეროს არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს დასაქმებულ პირებთან შრომითი ურთიერთობების განხორციელება სამართლებრივ საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება/ დანიშვნის შესახებ ბრძანებების გამოცემა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

მიგნება

ა(ა)იპ-ში 2023 წელს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია N10

ა(ა)იპ-მა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინვენტარიზაციის ჩატარებას ყოველწლიურად საანგარიშგებო წლის 31 დეკემბრამდე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს

ფინანსური მართვა და კონტროლი

მიგნება

ა(ა)იპ-ის კონტროლის გარემოს შესწავლით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- არ ხდება არსებული რისკების იდენტიფიცირება, რის საფუძველზეც უნდა დაინერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები;
- არ არის შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმები.
- არაა დანერგილი თანამშრომელთა ქცევის კოდექსი, რომელიც დაარეგულირებდა სამსახურში თანამშრომელთა ქცევის წესებს.
- ა(ა)იპ-ის საქმიანობის შესახებ წარდგენილი ანგარიშების შესწავლით ირკვევა, რომ ისინი ზოგადი ხასიათისაა, მათში ძირითადად ასახულია დასაქმებულთა რიცხოვნობა, გამოყოფილი ბიუჯეტი და მისი ხარჯვა, ჩატარებული ღონისიებები. ანგარიშები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ მიღწეული შედეგების მიმოხილვასა და ანალიზს.
- მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tskaltubo.gov.ge და Facebook გვერდზე ა(ა)იპ-ის ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული, გარდა ამისა, აღნიშნული ინფორმაცია არც

ადგილობრივი პრესის საშუალებით ვრცელდება. პასუხისმგებელი პირებმა ცნობადობის ამაღლებისა და მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის კუთხით გატარებული ვერც სხვა ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან/და მასალები წარმოადგინეს.

რეკომენდაცია №11

ა(ა)იპ-ის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეიმუშაონ პროცესები, მეთოდები და მიდგომები მეთოდოლოგიური დოკუმენტის სახით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ა(ა)იპ-ის საქმიანობით დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებებისა და მოლოდინების შესწავლა და გაანალიზება, ა(ა)იპ-ს წინაშე მდგარი გამოწვევების და შესაძლებლობების იდენტიფიცირება, ა(ა)იპ-ის SWOT ანალიზი, ა(ა)იპ-ს ინსტიტუციური შეფასება.

მიღებული მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, უნდა შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა, რომელიც თავსებადი იქნება შესაბამის სფეროში სახელმწიფო პრიორიტეტებთან და მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტთან.

სტრატეგიული გეგმით უნდა განისაზღვროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ა.შ. სტრატეგიული გეგმა ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სახელმწიფო სტრუქტურებთან, დონორებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობის შესახებ და ა.შ.

სტრატეგიულ გეგმასთან ერთად უნდა მომზადდეს დეტალური წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც სრულად და კონკრეტულად იქნება ასახული ის აქტივობები და ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მიღწევა. სამოქმედო გეგმაში უნდა განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, დაგეგმილი ღონისძიებებისთვის საჭირო რესურსების რაოდენობა, მათი მოპოვების გზები, გეგმის შესრულების ინდიკატორები და ა.შ. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის საფუძველზე კი შემუშავდეს კონკრეტული სამუშაო პროგრამა.

ა(ა)იპ-ის მიზნების მისაღწევად საქმიანობის დაგეგმვა განხორციელდეს დამტკიცებული სტრატეგიული და წლიური გეგმებით იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებით გამოწვეული საქმიანობის შემზღუდველი სავარაუდო რისკები. გაუთვალისწინებელი მოვლენების დადგომის შემთხვევაში, ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელდეს წლიური გეგმის კორექტირება მიმდინარე გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურ ხარჯვასა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური სარგებლის მოტანას. მიმდინარე პროცესებში არსებული რისკების შემცირების მიზნით, შემუშავდეს ისეთი კონტროლის პოლიტიკა, პროცედურები და მექანიზმები, რომლებიც სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფს ეფექტიან კონტროლს და ხელს შეუწყობს საჯარო რესურსების კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსაბამოდ, არამიზანშეწონილად ხარჯვისა და არაეფექტიანად მართვის დროულ გამოვლენასა და პრევენციას.

რეკომენდაცია №12

ა(ა)იპ-ის მენეჯმენტმა ყველა თანამშრომელს გააცნოს სტრატეგიული და დეტალური წლიური სამოქმედო გეგმები, გაუზიაროს საქმიანობის საბოლოო მიზნები და მოსალოდნელი შედეგები.

ამასთანავე ა(ა)იპ-ის მიზნები შემუშავებული უნდა იყოს კარგად გააზრებული და პრაქტიკულად გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე.

რეკომენდაცია №13

უნდა შემუშავდეს და დაინერგოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის დამოუკიდებელი და ქმედითი მექანიზმები. განისაზღვროს ვის მიერ და რა პერიოდულობით განხორციელდება სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შედეგების შესახებ ანგარიშგება. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე დროულად განხორციელდეს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და მათში განხორციელებული ცვლილებების შესახებ თანამშრომლებთან კომუნიკაცია.

რეკომენდაცია №14

რეკომენდირებულია ა(ა)იპ-ის საქმიანობის შესახებ წარდგენილი ანგარიშები გახდეს უფრო დეტალური, რათა სათანადოდ უზრუნველყოს მიღწეული შედეგების მიმოხილვა და ანალიზი.

რეკომენდაცია №15

ა(ა)იპ-მა ცნობადობის ამაღლებისა და მოსახლეობის ინფორმირების გაზრდის მიზნით, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა განყოფილების ჩართულობით, დაინტერესებულ მხარეებს ა(ა)იპ-ის საქმიანობასთან, ბენეფიციარების შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს დროულად, ამომწურავად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებითა და მათზე მორგებული ფორმით.

ცნობადობის ამაღლების კუთხით უნდა გაიმართოს მიზნობრივ ჯგუფებთან შესაბამისი შეხვედრები. დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთონ მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საწვავის ხარჯვისა და ჩამოწერის აუდიტი

მიგნებები

- შესამოწმებელ პერიოდში არ ხორციელდებოდა ოდომეტრის მაჩვენებლების აღრიცხვა.
- გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, მივლინების გარეშე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ დახარჯული საწვავის ჩამოწერის ფაქტი, კერძოდ, 2023 წლის 30 სექტემბერს ცენტრი-თბილისი- ცენტრი გადაადგილების მარშრუტით (526კმ).
- რიგ შემთხვევებში საწვავის ჩამოწერის დროს დანიშნულებად მითითებულია ექსკურსია, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალები აუდიტის ობიექტმა ვერ წარმოადგინა.

- რიგ შემთხვევებში დოკუმენტურად ვერ დასტურდება კონკრეტულად რა სამუშაოსთვის /რა დანიშნულებით გაიხარჯა საწვავი. ა(ა)იპ-ის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნულ შემთხვევებში საწვავი იხარჯებოდა ბაზრის კვლევის განსახორციელებლად, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი ვერ იქნა.
- საწვავის ხარჯვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში ვლინდება გარკვეული უზუსტობები, არასწორადაა დაჯამებული დღიურად განვლილი მანძილის მაჩვენებლები და შესაბამისად, აღნიშნულ შემთხვევებში არასწორადაა ჩამოწერილი საწვავი, კერძოდ:

- შესწავლით ირკვევა, რომ 2023 წლის მარტის თვეში არასწორად განხორციელდა გახარჯული საწვავის რაოდენობის დათვლა, კერძოდ, საწვავის ხარჯვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნულ თვეში განვლილი მანძილად მითითებული იყო 3255.4 კმ, აღნიშნული მაჩვენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ გახარჯული საწვავის რაოდენობა შეადგენდა- 553,41ლიტრს, ხოლო შესაბამის დოკუმენტაციაში მითითებულია - 573,39ლ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2023 წლის მარტის თვეში განვლილი მანძილის ფაქტობრივი ჯამი იყო 3218.4 კმ, შესაბამისად, გახარჯული საწვავის რაოდენობა შეადგენდა -547.128 ლიტრს.

რეკომენდაცია N16

ა(ა)იპ-მა საწვავის ხარჯვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით გააძლიეროს არსებული შიდა კონტროლის სისტემა, რათა უზრუნველყოს საწვავის ხარჯვა რაციონალურობის პრინციპის დაცვით და ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ განვლილი მანძილის (ოდომეტრის მაჩვენებლების) ზუსტი აღრიცხვა, საწვავის ხარჯვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით შედგენილ სააღრიცხვო დოკუმენტაციაში შესაბამისი მაჩვენებლების ზუსტად ასახვა, აგრეთვე, ერთობლივი შემოსავლიდან საწვავის ხარჯის გამოსაქვითად საწვავის შესაბამის ძირითად საშუალებაზე გაცემისა და შეძენილი და გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების სათანადო დოკუმენტური დადასტურება.

ბენეფიციართა მიღებისა და გარიცხვის პროცესთან დაკავშირებული მიგნებები

მიგნებები:

1. შესწავლით დგინდება, რომ დოკუმენტურად განსაზღვრული არ არის ბენეფიციართა მიღებისას წარმოსადგენი დოკუმენტები/ საბუთები, ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, ასაკობრივი ზღვრები, ბენეფიციართა გარიცხვის წესი და პირობები, ბენეფიციართა გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, საპატიო გაცდენის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის წესი და ვადები და ა.შ.
2. არ არის ხელმისაწვდომი ბენეფიციართა ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.
4. არ არის განსაზღვრული უპირატესი რეგისტრაციით მოსარგებლე კატეგორიის ბენეფიციარები.
5. შემუშავებული არ არის ვაკანტური ადგილების შევსების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, რეზერვის შექმნის და მასში რეგისტრაციის პირობები და პროცედურა, რეზერვის ფორმა.

რეკომენდაცია N17

ა(ა)იპ-ს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა შეიმუშავონ ბენეფიციართა მიღებისა და გარიცხვის წესი შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ✓ სათანადო დასაბუთებით შემუშავდეს და დეტალურად გაიწეროს ბენეფიციართა მიღების პირობები და შერჩევის კრიტერიუმები, ბენეფიციართა ჩარიცხვის ფორმა და პროცედურა.
- ✓ სათანადო დასაბუთებით შემუშავდეს და მკაფიოდ გაიწეროს ბენეფიციართა მისაღებ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების ნუსხა სწავლების შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე.
- ✓ სათანადო დასაბუთებით ჩამოყალიბდეს და მკაფიოდ გაიწეროს ბენეფიციართა გარიცხვის პირობები.
- ✓ განისაზღვროს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზები, საპატიო გაცდენის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის წესი და ვადები და ა.შ.
- ✓ შემუშავდეს და დამტკიცდეს პროცედურები, რომელიც მოაწესრიგებს ჩარიცხვის მსურველ ბენეფიციართა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ ბენეფიციართა ჩარიცხვის მიზნით შეტანილი განცხადებების მიღების, დამუშავებისა და აღრიცხვის პროცესს. რეკომენდირებულია განცხადებების აღრიცხვა იწყებოდეს წინასწარ განსაზღვრული სარეგისტრაციო ნომრით და ასახული იყოს სპეციალურ ფორმებში, რომლებიც მოიცავს ისეთ აუცილებელ მონაცემებს, როგორიცაა, განცხადების მიღების თარიღი, განცხადების ნომერი, პოტენციური აღსაზრდელის სახელი და გვარი, ა(ა)იპ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ა.შ.
- ✓ რეკომენდირებულია, საჭიროების შემთხვევაში, დაინერგოს რეზერვში მყოფი ჩარიცხვის მსურველი ბენეფიციარების რეესტრის წარმოების პრაქტიკა.
- ✓ განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლითაც დადგინდება ადგილების გამონთავისუფლების შემთხვევაში განმცხადებელთა სარეზერვო სიებიდან ჩარიცხვის საკითხის განხილვის რიგითობა.
- ✓ შესწავლილ იქნას ბენეფიციართა ელექტრონული ფორმით რეგისტრაციის დანერგვის საკითხი და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება განხორციელდეს სათანადო დასაბუთებით, დაინტერესებული მხარეების და მოსარგებლე პირების საჭიროებების/სურვილების სათანადო შესწავლის, შეფასებისა და გაანალიზების საფუძველზე.
- ✓ ბენეფიციართა მიღებისა და გარიცხვის წესში გათვალისწინებული უნდა იყოს ანგარიშგების, შემუშავებული წესის პერიოდული განახლების, პროცესებისა და აქტივობების დოკუმენტირების მექანიზმები

დასკვნა

შიდა აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების მიზანი იყო შეეფასებინა ა(ა)იპ ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული საქმიანობის პოლიტიკასთან,

გეგმებთან, პროცედურებთან, მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება.

ჩატარებული ინტერვიუების, დოკუმენტების შესწავლის, გამოყენებული სხვა ტექნიკებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და ურთიერთშედარების შედეგად ნათელია, რომ სახელმწიფო შესყიდვების მართვის, შრომის ანაზღაურების და შრომითი ურთიერთობების, საინვენტარიზაციო, აგრეთვე საწვავის ხარჯვისა და ჩამოწერის პროცესში გვხვდება რიგი შეუსაბამობების ფაქტები. შესაბამისად, ა(ა)იპ-ში დანერგილი კონტროლის მექანიზმები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ განხორციელებული საქმიანობის პროცედურებთან, მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის მიზნების მიღწევას.

საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებისთვის და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანია ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი შიდა კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას და შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების - კონტროლის ღონისძიებები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, მონიტორინგი და შეფასება - გაძლიერებას.

- აუდიტის ობიექტი N3

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური

1 ნაწილი - მიგნებები და რეკომენდაციები

1. სივრცის დაგეგმარება და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვა

მიგნება

აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სივრცის დაგეგმარების გეგმა შემუშავებული არ არის.

რეკომენდაცია №1

ტერიტორიების ფიზიკური გარემოს და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, განვითარების და სათანადო უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდირებულია შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავებას, გეგმის შემუშავების, მისი განხილვისა და დამტკიცების პროცესის წარმართვას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების (მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის) შესაბამისად.

მიგნება N1

აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 სექტემბრის N90 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფცია, ხოლო გენერალური გეგმა შემუშავებული და დამტკიცებული არ არის.

მიგნება N2

აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ ქალაქ წყალტუბოს განაშენიანების გეგმა ან/და განაშენიანების დეტალური გეგმა შემუშავებული და დამტკიცებული არ არის.

რეკომენდაცია №2

ქალაქის მთელი ტერიტორიის განვითარების, მისი გამოყენებისა და განაშენიანების ზოგადი რეგულირების და სათანადო უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის შემუშავებას, გეგმის შემუშავების, მისი განხილვისა და დამტკიცების პროცესის წარმართვას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

რეკომენდაცია №3

ქალაქის ტერიტორიის ნაწილების განვითარების, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირების და სათანადო უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ წყალტუბოს განაშენიანების გეგმის ან/და განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას, გეგმის შემუშავების, მისი განხილვისა და დამტკიცების პროცესის წარმართვას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება

მიგნება

აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ შემუშავებული არ არის ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, პარკირების ადგილების განსაზღვრისა და პარკირების წესების მარეგულირებელი დოკუმენტი.

რეკომენდაცია №4

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების, ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის, მგზავრთა გადაყვანის მიზნით ტექნიკურად გამართული ავტომანქანების გამოყენების, პარკირების სფეროს განვითარების, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, პარკირების ადგილების განსაზღვრისა და პარკირების წესების მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავებას და დამტკიცებას. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ასპექტები: პარკირების წესები, პარკირების ორგანიზება, პარკირების, გაჩერებისა და დგომის მართვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საერთო წესები, სპეციალური პარკირებისა და პირობების განსაზღვრა, ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრა, მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალება ტაქსების პარკირების ადგილებზე პარკირებისათვის, ტაქსების პარკირების ადგილებისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების წესი, ელექტრომობილების პარკირებისა და დამუხტვის წესი, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის ან/და მესაკუთრის უფლებები და მოვალეობები პარკირებისას, პარკირების წესების დარღვევა, პარკირების წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და მისი აღსრულება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების გასაჩივრება, საცნობი ნიშნის გაცემა და საცნობი ნიშნის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების პარკირება, სპეციალური საშვის გაცემა და სპეციალური საშვის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირება, დიპლომატიური სანომრე ნიშნის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასური და პარკირების საფასურის გადახდა, საჭიროების შემთხვევაში, პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის წესი და მისი საფასური და ა.შ.

3. გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება

მიგნება

აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ შემუშავებულია გარე ვაჭრობის მარეგულირებელი წესი, აღნიშნული წესი არ მოიცავს გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირების საკითხებს. გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების მარეგულირებელი წესი არც ცალკე დოკუმენტის სახითაა შემუშავებული და და დამტკიცებული.

რეკომენდაცია №5

მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მოსახლეობის ინტერესების დაცვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების მარეგულირებელი დოკუმენტის/წესის შემუშავებას და დამტკიცებას. აღნიშნულ დოკუმენტში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ასპექტები: გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობებისთვის ადგილების განსაზღვრა და გამოყოფა, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობებისთვის განკუთვნილი ტერიტორიის მოწყობის ძირითადი პირობები, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ობიექტების განთავსებთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მშენებლობის სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული პირობები და ა.შ.

4. მშენებლობის ნებართვის გაცემა

მიგნება

შესწავლით ირკვევა, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ მიუღია გადაწყვეტილება სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენასთან დაკავშირებით, პრაქტიკაში სანებართვო დოკუმენტები მიიღება ელექტრონულად, მაგალითად, N482311429-03; N482323535-03; N482322978-03; N4823199135-03; N482319180-06; N48231191-03; N4823094172-03; N482304672-03 განცხადებებით წარმოდგენილი სანებართვო დოკუმენტაცია.

რეკომენდაცია №6

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ელექტრონული საქმის წარმოების წესის შემუშავებას. აღნიშნულ წესში გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები: ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და განცხადების შეტანა, დოკუმენტაციის წარდგენა, დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, ელექტრონული მომსახურების ვადები, ელექტრონული მომსახურების ინსტრუქცია და ა.შ.

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რიგ შემთხვევებში საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელს დამატებით წარმოდგენილი არ აქვს შესაბამისი

თანამესაკუთრის თანხმობა, მაგალითად, N19/482311828-03; 19/4823138110-03 განცხადებები. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით აღნიშნული შეუსაბამობის მიუხედავად, მშენებლობის ნებართვის მაძიებლებზე გაცემულია შესაბამისი სამშენებლო ნებართვები.

რეკომენდაცია №7

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობა დაგეგმილია სხვა პირის კერძო საკუთრებაში ან საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან შენობა-ნაგებობაზე და მშენებლობის ნებართვის მაძიებელს დამატებით წარმოდგენილი აქვს შესაბამისი მესაკუთრის/თანამესაკუთრის თანხმობა.

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რიგ შემთხვევებში მშენებლობის ორგანიზების პროექტებში არ არის აღწერილი სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების საკითხები; არასრულყოფილადაა აღწერილი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდები და ღონისძიებები, არ არის შეტანილი დაფარული სამუშაოების, დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი, რაც მშენებლობის პროცესის დროს უნდა შედგეს; არ არის წარმოდგენილი სამშენებლო მოედნის გეგმა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, სამშენებლო მოედნის საზღვრების, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სქემის და განთავსების, ასევე სამშენებლო მასალების და დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილების ჩვენებით).

რეკომენდაცია №8

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის გაცემა იმ შემთხვევაში თუ მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარდგენილ სანებართვო განაცხადზე თანდართული მშენებლობის ორგანიზების პროექტი აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში მშენებლობის ნებართვა გაცემულია მშენებლობის ორგანიზების პროექტით განსაზღვრული გონივრული ვადის შეუსაბამოდ, მაგალითად, N48.482314912 ბრძანებით მშენებლობის ნებართვა გაცემულია 1 წლის ვადით, შესაბამისი მშენებლობის ორგანიზების პროექტით განსაზღვრული მშენებლობის ხანგრძლივობის ვადა კი შეადგენს 4 თვეს; N48.482313731 ბრძანებით მშენებლობის ნებართვა გაცემულია 1 წლის ვადით, შესაბამისი მშენებლობის ორგანიზების პროექტით განსაზღვრული მშენებლობის ხანგრძლივობის ვადა კი შეადგენს 7 თვეს, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია №9

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმი, რათა მოხდეს მშენებლობის ნებართვის გაცემა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ, მშენებლობის ნებართვა გაიცეს მშენებლობის ორგანიზების პროექტით განსაზღვრული გონივრული ვადით.

მიგნება N1

შესწავლით ირკვევა, რომ შესამოწმებელ პერიოდში გაცემულ მშენებლობის ნებართვებში შეტანილი არ არის შემდეგი ინფორმაცია: მშენებლობის ნებართვის ნომერი; მშენებლობის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევისა; მშენებლობის ნებართვის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები, კეროდ, პირადი ნომერი; სამშენებლო/სანებართვო პირობები.

მიგნება N2

შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში მშენებლობის ნებართვებში მითითებული არ არის შენობა-ნაგებობის კლასი, მაგალითად, N 48. 482318712, ბ48.48231814 მშენებლობის ნებართვები, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდენლობით დადგენილ მოთხოვნებს.

მიგნება N3

შესწავლით ირკვევა, რომ N48.482309426 მშენებლობის ნებართვაში არ არის მითითებული მშენებლობის ვადა.

რეკომენდაცია №10

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს გაცემულ მშენებლობის ნებართვებში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის სრულად ასახვა, მათ შორის, მშენებლობის ნებართვის ნომერი; მშენებლობის განხორციელების (ზედამხედველობის) ეტაპები, გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევისა; მშენებლობის ნებართვის მფლობელის საიდენტიფიკაციო მონაცემები, კეროდ, პირადი ნომერი; სამშენებლო/სანებართვო პირობები; შენობა-ნაგებობის კლასი; მშენებლობის ვადა.

მიგნება

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე წარმოდგენილ განცხადებებზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში საინფორმაციო დაფის გაბარიტია A4 ზომის ფორმატი, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მაგალითად: N19/482311475-03; N19/48231499-03; N19/482318083-03; N19/482311471-03; N 19/482315114-03 განცხადებები.

რეკომენდაცია N11

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულია მოქმედი კანონმდებლობით დადენილი ვადების დარღვევით, მაგალითად:

- 23/06/2023 წლის N№48. 48231745 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ შესაბამის განცხადება N 19/4823142119-03 წარმოდგენილი იყო 2023 წლის 22 მაისს.
- 11/12/2023 წლის N№48. 48233458 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ შესაბამის განცხადება N19/482332038-03 წარმოდგენილი იყო 2023 წლის 16 ნოემბერს.
- 29/03/2023 წლის N№48. 482308831 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ, მშენებლობის ნებართვის მაძიებლის მიერ შესაბამის განცხადება N19/482228430-03 წარმოდგენილი იყო 2022 წლის 11 ოქტომბერს.

რეკომენდაცია N12

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადების შესაბამისად.

5. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში ვარგისად აღიარებისათვის მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ წარმოდგენილ განცხადებებს (N19/482309098-03; N19/4823109163-03; N19/482328261-03; N19/482334947-03; 19/482315032-03 განცხადებები) არ ახლავს სამშენებლო /სანებართვო პირობებით განსაზღვრული მშენებლობის (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) ეტაპების დასრულების შესახებ ამ წესის შესაბამისად შედგენილი საეტაპო ოქმები, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული შეუსაბამობის მიუხედავად, შესაბამისი შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარებულია.

რეკომენდაცია №13

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის შესაბამისი კლასისათვის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარება იმ შემთხვევაში თუ მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე თანდართულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, სამშენებლო/სანებართვო პირობებით განსაზღვრული მშენებლობის (გარდა ინდივიდუალური

საცხოვრებელი სახლის მშენებლობისა) ეტაპების დასრულების შესახებ ამ წესის შესაბამისად შედგენილი საეტაპო ოქმები.

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში ვარგისად აღიარებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევებში შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში ვარგისად აღიარებისათვის მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ წარმოდგენილ განცხადებებს (მაგალითად, N19/48222297-03, N19/482314370-03; N19/482316578-03; N19/4823250117-03; N19/482316631-03; N19/482321355-03 განცხადებები) არ ახლავს შეფასება განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების სანებართვო პირობებთან შესაბამისობის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული შეუსაბამობის მიუხედავად, შესაბამისი შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარებულია.

რეკომენდაცია №14

აუდიტის ობიექტმა გააძლიეროს არსებული კონტროლის მექანიზმი, რათა უზრუნველყოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევებში შენობა-ნაგებობის შესაბამისი კლასისათვის ექსპლუატაციაში მიღებისათვის ვარგისად აღიარება იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვის მფლობელის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე თანდართულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, შეფასება განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების სანებართვო პირობებთან შესაბამისობის თაობაზე. ამასთან, თუ II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მფლობელი არ დანიშნავს ტექნიკურ ზედამხედველს, იგი თავად წარადგენს შეფასებას განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების სანებართვო პირობებთან შესაბამისობის თაობაზე, ხოლო III და IV კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შემთხვევაში, შეფასება შედგენილ უნდა იქნეს აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს/სერტიფიცირებული ექსპერტის მიერ.

6. სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რომ რიგ შემთხვევებში დამრღვევი პირები განცხადების (მაგალითად, N10/4823093133-03; N19/482305517-03; N19/482323389-03; N19/482319879-03; N19/482308749-03 განცხადებები) საფუძველზე აღიარებენ სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს, აუდიტის ობიექტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ აღნიშნულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა, თუმცა დამრღვევი პირების მიერ გადახდილია შესაბამისი ჯარიმები.

რეკომენდაცია №15

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, კერძოდ, თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების მიღებას, სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება დაიწყოს შემოწმების აქტის შედგენით.

მიგნება N1

შესწავლით ირკვევა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში სამშენებლო სამართალდამრღვევს უწყებით არ ეცნობება საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და აღნიშნული საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა.

მიგნება N2

შესწავლით ირკვევა, რომ სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისთვის უწყების ფორმა შემუშავებული და დამტკიცებული არ არის.

რეკომენდაცია N16

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისთვის უწყების ფორმის შემუშავებას და დამტკიცებას, და სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, სამშენებლო სამართალდამრღვევისთვის საქმის განხილვის ადგილის, თარიღის, დროსა და აღნიშნული საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობის უწყებით ცნობებას, გარდა მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევისა.

7. სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვა

მიგნება

აუდიტორული შემოწმების პროცესში გამოვლინდა, რომ შემუშავებული არ არის სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესი.

რეკომენდაცია №17

აუდიტის ობიექტმა საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შემუშავებაზე, წესის დამტკიცების შემდეგ დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რათა უზრუნველყოს საქმიანობის წარმართვა მიღებული წესის შესაბამისად.

8. დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება და ამოღება

მიგნება N1

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად რეგისტრირებული იყო 5010 ფიზიკური პირი და 592 იურიდიული პირი, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად რეგისტრირებული იყო 4996 ფიზიკური პირი და 552 იურიდიული პირი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად რეგისტრირებულია – 4990 ფიზიკური პირი და 540 იურიდიული პირი, შესაბამისად, არსებული კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელი ფიზიკური პირების სრულყოფილი ბაზის შექმნას, რაც დასტურდება აუდიტის ობიექტის შესაბამისი წარმომადგენლების ზეპირი განმარტებითაც. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ სრულად არ არის აღრიცხული დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა.

მიგნება N2

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2023 წელს იურიდიულ პირებს დასუფთავების მოსაკრებლის სახით უნდა გადაეხადათ 237583 ლარი, ხოლო ფიზიკურ პირებს 56029 ლარი. 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ გადაუხდელმა დასუფთავების მოსაკრებელმა შეადგინა 44846 ლარი, შესაბამისად, იურიდიული პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი შეადგენდა 81.124 %-ს, ხოლო ფიზიკური პირების გადაუხდელმა დასუფთავების მოსაკრებელმა შეადგინა 36504 ლარი, შესაბამისად, ფიზიკური პირებიდან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი შეადგენდა 34.8481 %.

მიგნება N3

დარიცხული დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ხელმისაწვდომი არ არის სწრაფი გადახდის აპარატებით, დარიცხული დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ აბონენტთა დროული ინფორმირებისათვის არ გამოიყენება სმს-შეტყობინებები.

რეკომენდაცია №18

აუდიტის ობიექტმა შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა სრული/სრულყოფილი ბაზის შექმნას და მის პერიოდულ განახლებას.

რეკომენდაცია №19

აუდიტის ობიექტმა საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია, დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც უზრუნველყოფს მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებლის გაზრდას. განიხილოს და შეაფასოს დარიცხული დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ფიზიკური და იურიდიული, სწრაფი გადახდის აპარატებით, დარიცხული დასუფთავების მოსაკრებლის შესახებ აბონენტთა დროული ინფორმირებისათვის სმს-შეტყობინებების გამოყენება. დასუფთავების მოსაკრებლის დაგეგმილი მაჩვენებლის მობილიზების მიზნით ქმედითი ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და კუთვნილი შემოსავლების მიღებას.

მიგნება N1

შესწავლით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი ბინის/სახლის მესაკუთრე (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) ვალდებულია რეგისტრაცია გაუკეთოს მის საკუთრებაზე მცხოვრები პირების რაოდენობასა და რაოდენობის ცვლილებას, თუმცა განსაზღვრული არ არის ცვლილების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტის მაგალითად, ცნობა სასწავლებლიდან, გარდაცვალების, დაბადების ან ქორწინების მოწმობა, სულადობის ცვლილების შესახებ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა, ან მინიმუმ სამი მეზობლის მიერ ხელწერით დადასტურებული განაცხადი და ა.შ). წარმოდგენის ვალდებულება.

მიგნება N2

შესწავლით ირკვევა, რომ ორგანიზებულ სექტორში განთავსებული იძულებით გადაადგილებული პირებისათვის და სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა დიფერენცირებულია, მაგრამ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება განსაზღვრული არ არის.

მიგნება N3

შესწავლით ირკვევა, რომ დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირებისათვის დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები

ვალდებულნი არიან წარმოადგინონ კონკრეტულ მისამართზე (ფართზე) მათი ფუნქციონირების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა განსაზღვრული არ არის მათი წარმოდგენის ვადები.

მიგნება N4

შესწავლით ირკვევა, რომ მოსაკრებელი იურიდიული პირებისთვის გაიანგარიშება დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. მოსაკრებლის ოდენობის დადგენისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ამ სიდიდეების კომბინაციებიც. აღნიშნული ჩანაწერიდან გამომდინარე არ არსებობს კრიტერიუმები, რომლითაც უნდა შეირჩეს მოსაკრებლის დარიცხვის მეთოდი, რაც აბონენტად რეგისტრაციის პროცესში იურიდიული პირებისთვის მოსაკრებლის განზსაზღვრისას არათანაბარზომიერი მიდგომის რისკებს წარმოშობს.

რეკომენდაცია №20

აუდიტის ობიექტმა საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის მარეგულირებელ დოკუმენტთან დაკავშირებით და აღნიშნული გადამუშავდეს/განახლდეს შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- ✓ განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ ბინაში/სახლში მცხოვრები პირების რაოდენობის ცვლილების რეგისტრაციის შემთხვევაში წარმოსადგენი ცვლილების დამადასტურებელი უტყუარი დოკუმენტი/დოკუმენტები, მაგალითად, ცნობა სასწავლებლიდან, გარდაცვალების, დაბადების ან ქორწინების მოწმობა, სულადობის ცვლილების შესახებ ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ გაცემული ცნობა, ან მინიმუმ სამი მეზობლის მიერ ხელწერით დადასტურებული განაცხადი და ა.შ.
- ✓ განისაზღვროს ორგანიზებულ სექტორში განთავსებული იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად რეგისტრაციის პროცესში შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება ან/და სხვა ალტერნატიული საშუალების დანერგვა აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად/დასადასტურებლად.
- ✓ განისაზღვროს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელად დარეგისტრირებისათვის დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული პირების და ინდივიდუალური მეწარმეების მიერ კონკრეტულ მისამართზე (ფართზე) მათი ფუნქციონირების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ვადები.

- ✓ დეტალურად გაიწეროს იურიდიული პირებისთვის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის დადგენის პროცედურა, მოსაკრებლის დარიცხვის მეთოდის შერჩევის კრიტერიუმები მიგნების ნაწილში ასახული გარემოებების გათვალისწინებით.

9. შიდა კონტროლის სისტემა

მიგნება N1

შესწავლით ირკვევა, ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების/ ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მიერ არ ხორციელდება გაცემული სამშენებლო ნებართვების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის მიმართულებით მომუშავე შესაბამისი თანამშრომლებისთვის მუნიციპალური სერვისების შიდა პორტალის www.apps.gov.ge -ის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მიგნება N2

შესწავლით ირკვევა, ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებას ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის მიმართულებით მომუშავე შესაბამისი თანამშრომლების/ ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მიერ მუნიციპალური სერვისების შიდა პორტალის www.apps.gov.ge ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით არ მიეწოდება დაჯარიმებული სუბიექტების შესახებ ინფორმაცია.

რეკომენდაცია №21

შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებას და ამავე სამსახურში ზედამხედველობის მიმართულებით მომუშავე თანამშრომლებს შორის პოლიტიკის კოორდინაციის და ამ მიზნით კრიტიკული ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლის მექანიზმების გაუმჯობესებას, კერძოდ, ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების/ ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მიერ გაცემული სამშენებლო ნებართვების შესახებ ზედამხედველობის მიმართულებით მომუშავე შესაბამისი თანამშრომლებისთვის მუნიციპალური სერვისების შიდა პორტალის www.apps.gov.ge -ის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით ინფორმაციის მიწოდებას, რათა მათ დროულად დაიწყონ სანებართვო პირობების შესრულების მონიტორინგი. აგრეთვე,ზედამხდველობის,

სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილებისთვის ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ზედამხედველობის მიმართულებით მომუშავე შესაბამისი თანამშრომლების/ ზედამხდველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მიერ მუნიციპალური სერვისების შიდა პორტალის www.apps.gov.ge ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაჯარიმებული სუბიექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რათა სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების მიერ არ მოხდეს ისეთი სამშენებლო პროექტის კორექტირების შეთანხმება, რომელზეც უკვე გამოიცა სამართალდარღვევის აქტი და მიმდინარეობს ადმინისტრაციული სამართალწარმოება.

მიგნება

შესწავლით ირკვევა, რომ სამსახურსა და მის განყოფილებებში შემუშავებული და დანერგილი არ არის დეტალური პროცედურული სახელმძღვანელო/ინსტრუქციები, სადაც გაწერილი უნდა იყოს ძირითადი საოპერაციო პროცესები, რაც მოიცავს პროცესის სრულ ციკლში განსახორციელებელი კონტროლის ღონისძიებების (მექანიზმების) აღწერას, ცალკეულ ქვეპროცესებზე პასუხისმგებელ პირებს, ანგარიშვალდებულების პროცედურებს და თითოეულ ეტაპზე შესაქმნელი დოკუმენტაციის ნუსხას/ანგარიშგების ფორმები.

რეკომენდაცია №22

დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურსა და მის განყოფილებებში დეტალური პროცედურული სახელმძღვანელო/ინსტრუქციების შემუშავებას, სადაც გაწერილი იქნება ძირითადი საოპერაციო პროცესები, რაც მოიცავს პროცესის სრულ ციკლში განსახორციელებელი კონტროლის ღონისძიებების (მექანიზმების) აღწერას, ცალკეულ ქვეპროცესებზე პასუხისმგებელ პირებს, ანგარიშვალდებულების პროცედურებს და თითოეულ ეტაპზე შესაქმნელი დოკუმენტაციის ნუსხას/ანგარიშგების ფორმებს და შემდგომში საქმიანობის წარმართვას აღნიშნული პროცედურული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესაბამისად.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სპორტული კლუბების გაერთიანება“ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

2023 წელს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანების“ შესაბამისობის აუდიტის შედეგად, გაცემული ვადადამდგარი რეკომენდაციების შესრულების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N1. რეკომენდაციების შესრულების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები

N	რეკომენდაცია	რეკომენდაციები					
		შესრულებული		ნაწილობრივ შესრულებული		შეუსრულებელი	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
1		5	42	7	58	0	0

მონიტორინგის დროს გამოვლენილი ახალი მიგნებები

1. შესწავლით ირკვევა, რომ შესამოწმებელ პერიოდში ა(ა)იპ-ში არ ხორციელდებოდა განვლილი მანძილის (ოდომეტრის მაჩვენებლები) აღრიცხვა და საწვავის ჩამოწერა არ ხდებოდა გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით, აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დგინდება თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის/რა დანიშნულებით გაიხარჯა საწვავი.
2. 2024 წლის 3 მაისიდან 13 მაისამდე პერიოდი საჯარო დაწესებულებებისთვის, მათ შორის ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისთვის“ იყო უქმე და დასვენების დღეები, რაც დასტურდება ,,გაერთიანების“ 2024 წლის მაისის თვის სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელით. შესწავლით ირკვევა, რომ აღნიშნულ უქმე და დასვენების დღეებში სამსახურებრივ ავტომანქანაში 2-ჯერ განხორციელდა საწვავის ჩასხმა (იხილეთ ცხრილი). მონიტორინგის განმახორციელებელმა ჯგუფმა ვერ მოიპოვა საკმარისი მტკიცებულებები, იმასთან დაკავშირებით თუ კონკრეტულად რა სამსახურებრივი სამუშაოსთვის/ რა დანიშნულებით გაიხარჯა საწვავი.

თარიღი	დრო	ტიპი	მანქანის ნომერი	Fuel Type	მოცულობა
5/11/2024	16:15	Automat	SP100SI	Premium Efix	50.00
5/3/2024	13:23	Automat	SP100SI	Premium Efix	41.00

რეკომენდაცია

ა(ა)იპ-მა საწვავის გამოყენებასთან დაკავშირებით გააძლიეროს არსებული შიდა კონტროლის სისტემა, რათა საწვავის ხარჯვა განხორციელდეს რაციონალურობის პრინციპის დაცვით, უზრუნველყოფილ იქნას ავტოსატრანსპორტო საშუალების მიერ განვლილი მანძილის (ოდომეტრის მაჩვენებლები) ზუსტი აღრიცხვა,

საწვავის ჩამოწერა გარბენილი კილომეტრაჟის მიხედვით. გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში მიეთითოს თუ სად, კონკრეტულად რა სამუშაოსთვის გაიხარჯა საწვავი.

საბოლოო მოსაზრება

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგის პროცესში მონიტორინგის განმახორციელებელმა ჯგუფმა შეაფასა მათი შესრულების მდგომარეობა, რეკომენდაციების შესასრულებლად მიღებულია გარკვეული ზომები, 5 რეკომენდაციასთან მიმართებით არსებობს პროგრესი და მათ მიენიჭათ შესრულებულის სტატუსი, არ გამოვლენილა შეუსრულებელი რეკომენდაციები.

მონიტორინგის განმახორციელებელმა ჯგუფმა შეაფასა არა მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, რის საფუძველზეც მიანიჭა მათ შესაბამისი სტატუსები, არამედ ასევე შეისწავლა და განაზოგადა ცალკეული რეკომენდაციის ნაწილობრივ შესრულების მიზეზები.

რეკომენდაციების ნაწილობრივ შესრულების ძირითად მიზეზს წარმოადგენს აუდიტის ობიექტის მხრიდან შიდა კონტროლის სისტემის გამართული ფუნქციონირების არასათანადო აღქმა, რისკების მართვის მიზნით საპასუხო ღონისძიებათა შესაფერისობის, საკმარისობისა და დროულობის შეუფასებლობა და სხვა.

რეკომენდირებულია აუდიტის ობიექტმა ნაწილობრივ შესრულებულ და დამატებით რეკომენდაციებთან მიმართებით გაატაროს ქმედითი ღონისძიებები.

შიდა აუდიტის სამსახურში შემოსულ განცხადებასთან დაკავშირებით მომზადდა დასკვნა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი: /მ. თედორაძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური
№7
221274546